



ბრძანება

N 363
25/07/2022

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

„განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (შემდგომ - ფედერაცია) 2022 წლის 27 ივნისის N-ფა/2-03 (რეგისტრაციის N115075/16; 28.06.2022წ.) წერილი აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ. სამსახურს დამატებით წარედგინა 2022 წლის 18 ივლისის N-ფა/2-05 (რეგისტრაციის N130108/16; 20.07.2022წ.) წერილი განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2022 წლის 18 ივლისის N-ფა/2-05 კორექსონდენციით წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2022 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ნომერი - SARAS-CPD-016/22;


4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ფედერაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ფედერაციას - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) -მ.შ
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

